



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსანდრე კვახაძე

რუსეთისა და აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მისი  
მნიშვნელობა აფხაზური საზოგადოებისა და ოფიციალური  
თბილისისათვის

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის  
ფონდი 2021

2020 წლის 25 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის სამთავრობო ვებგვერდებზე და არაღიარებული აფხაზეთის კუთვნილ ინტერნეტრესურსებზე გავრცელდა დოკუმენტი, სახელწოდებით „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების ღონისძიებების გეგმა“.<sup>1</sup> დოკუმენტი ხელმოწერილია აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას, პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანჟაბასა და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე დიმიტრი კოზაკის მიერ. დოკუმენტი შედგება 45 პუნქტისგან და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა, ენერგეტიკა, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკა და უძრავი ქონების საკითხი. დოკუმენტში ყველა პუნქტთან მითითებულია შესაბამისი პასუხისმგებელი უწყება და მისი განხორციელების სავარაუდო წლები. შეთანხმების პუნქტთა უმრავლესობა ითვალისწინებს რუსეთისა და აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. აღნიშნული დოკუმენტი არის ლოგიკური გაგრძელება 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარებისა და მის შემდგომ ხელმოწერილი ხელშეკრულებებისა. ამ ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია 2014 წლის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმება“, რომელიც, ბევრ სხვა პუნქტთან ერთად, აფხაზეთის დე ფაქტო შეიარაღებული ძალების რუსეთის გენშტაბის დაქვემდებარებაში გადასვლასაც ითვალისწინებს.<sup>2</sup>

ზემონახსენებ დოკუმენტს აფხაზეთურ პოლიტიკურ წრეებსა და მედიაში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ჟურნალისტი და გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი დადებითად უყურებს ამ შეთანხმების ფარგლებში პენსიებისა და საბიუჯეტო ხელფასების ზრდის პერსპექტივას, თუმცა სიფრთხილით ეკიდება დოკუმენტის რამდენიმე პუნქტს.<sup>3</sup>

დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე პუნქტს, რომელიც აფხაზეთურ საზოგადოებაში გარკვეულ შიშს აღძრავს. აქედან ყველაზე მტკივნეულია უძრავი ქონების საკითხი. ამჟამად აფხაზეთის დე ფაქტო კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე

---

<sup>1</sup> presidentofabkhazia.org (2020). "programma formirovaniya obshego sotsialnogo i ekonomicheskogo prostranstva mezhdru rosiyskoy federatsii i i respubliki abkhazii. [რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების ღონისძიებების გეგმა]. ხელმისაწვდომია: [http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/dc5/programma- 1\\_.pdf](http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/dc5/programma- 1_.pdf)

<sup>2</sup> kremlin.ru (2014). "dogovor mezhdru rossiyskoy federatsii i respubliki abkhazia o soyuznichestve i strategicheskome partniorstve." [რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის სამოკავშირეო და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება]. ხელმისაწვდომია: <http://kremlin.ru/supplement/4783>

<sup>3</sup> ხაშიგი ი. (2020). „აფხაზეთი: რუსეთთან ურთიერთობის ახალი რისკები. ანალიზი“. JamNews. ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/ge/rac-moicavs-programa-tanamshromloba-afkhazeti-da-ruseti-akhali-ambebi-riski-safrkhe-suvereniteti-inal-khashiqi-bdjanian-anqvabi/>

უძრავი ქონების შეძენის უფლება მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეს აქვს.<sup>4</sup> ამ შეზღუდვის გამო უცხოელები, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეები, ვერ ახერხებენ უძრავი ქონების შეძენას ტურისტულ ადგილებში. აფხაზეთის დე ფაქტო მოქალაქეობის მიღება კი საკმაოდ რთულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, სადაც უპირატესობა, როგორც წესი, თურქეთისა და სირიის აფხაზურ დიასპორას და აგრეთვე ყარაჩაი-ჩერქეზეთში მცხოვრებ აბაზებს<sup>5</sup> ენიჭებათ. აფხაზეთის მმართველ ელიტაში ამ სადავო საკითხის მოსაგვარებლად ცდილობენ შუალედური გზების მონახვას. მაგალითად, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტთან არსებული საკონსტიტუციო რეფორმების კომისიის თავმჯდომარე ნათელა აკაბა აფხაზეთის აღმოსავლეთ რეგიონებში წინმსწრები განვითარების ტერიტორიების შექმნის ინიციატივით გამოდის. გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნაა განსაზღვრული, ასევე გათვალისწინებულია საცხოვრებელი აპარტამენტების აშენებაც, სადაც უძრავი ქონების შეძენა უცხოელებსაც შეეძლება.<sup>6</sup> ამგვარი ტერიტორიების განვითარების ერთ-ერთ პოტენციურ ადგილად გულრიფშის რაიონში მდებარე ქართველებისგან დაცლილი ზღვისპირა სოფელი ვარჩა სახელდება, რომლის გასაყიდი მიწის ნაკვეთების განცხადებები აქტიურად ვრცელდება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის აფხაზურ ვებგვერდებზე.<sup>7</sup> უცხოელებზე უძრავი ქონების გაყიდვის ნებართვის გაცემა ორ ძირითად შიშს აღძრავს აფხაზურ საზოგადოებაში, პირველი არის ეთნიკური რუსების მოსალოდნელი დემოგრაფიული ექსპანსია და აფხაზეთის ტერიტორიაზე ასიმილაციური პროცესების დაჩქარება. აფხაზეთის ტერიტორიაზე 2011 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა 124 ათას კაცს და მთლიანი მოსახლეობის 50.71%-ს აღწევდა.<sup>8</sup> თუმცა, ამ ციფრების სანდოობაში დემოგრაფიის ექსპერტებს დიდი ხანია ეჭვი შეაქვთ და მიიჩნევენ, რომ აფხაზთა რეალური რაოდენობა უფრო ნაკლებია, ხოლო სომეხთა კი - უფრო მეტი. აფხაზური საზოგადოება შიშობს, რომ უძრავ ქონებაზე შეზღუდვის გაუქმებით აფხაზები შესაძლოა კვლავაც უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ამან მათი

---

<sup>4</sup> Skakov A. (2015). "problemy kupli-prodazhi nedvizhivosti v respublike abkhazia" [აფხაზეთის რესპუბლიკაში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პრობლემები]. Sputnik-Abkhazia.

ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/analytics/20151029/1016119110.html>

<sup>5</sup> Sputnik-Abkhazia (2015). "kharazia. bolee semi tysach repatriantov imeyut abkhazskoe grazhdanstvo" [ხარაზია: შვიდი ათას რეპატრიანტზე მეტი ფლობს აფხაზეთის მოქალაქეობას]. ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/repatriation/20150629/1015079822.html>

<sup>6</sup> Apsadgil.info (2020). "natela akaba: neobkhodimo izuchit vopros stroitelstva apartamentov i sozdaniya territoriy razvitiya v abkhazii" [ნათელა აკაბა: აუცილებელია აფხაზეთში აპარტამენტების მშენებლობისა და განვითარების ტერიტორიების შექმნის საკითხის შესწავლა]. ხელმისაწვდომია: <https://apsadgil.info/news/economics/natella-akaba-neobkhodimo-izuchit-vopros-stroitelstva-apartamentov-i-sozdaniya-territoriy-razvitiya/>

<sup>7</sup> Abkhaz Auto. ხელმისაწვდომია: <https://abkhaz-auto.ru/bb/386231>

<sup>8</sup> Ethno Kavkaz. ხელმისაწვდომია: <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>

სუვერენიტეტის შემდგომ საერთაშორისო აღიარებასა და განმტკიცებას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას. მეორე საკითხი, რასაც აფხაზეთში შიშობენ, არის რუსეთის მოქალაქეობის მქონე ქართველ დევნილთა დაბრუნება ან რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველების მიერ უძრავი ქონების შექმნა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თავის ინტერვიუში დასვა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველებისა და აგრეთვე მარტოხელა ეთნიკური რუსი პენსიონერების<sup>9</sup> საკითხი. აფხაზები შიშობენ, რომ რუსეთის მოქალაქე ქართველები ოფიციალური მოსკოვის ზურგით ისარგებლებენ და გამოყენებული იქნებიან ზეწოლის მექანიზმად.

მეორე საკითხი, რომელსაც აფხაზეთში სიფრთხილით ეკიდებიან, არის ენერგეტიკა. ამჟამად აფხაზეთის ელექტროენერჯით მომარაგება ენგურჰესიდან ხორციელდება. ვინაიდან ენგურჰესის ინფრასტრუქტურის ნაწილი განლაგებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ხოლო მეორე ნაწილი კი - გალის ტერიტორიაზე, ქართული მხარე და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სიტყვიერი შეთანხმებით თანაბრად ინაწილებენ ენგურჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიას.<sup>10</sup> ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე ენერგოგანაწილებას ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებთან დაკავშირებული კომპანია „ჩერნომორენერგო“ განაგებს. ენგურჰესიდან მიღებული ელექტროენერჯია საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლებად მიეწოდება ადგილობრივ მოსახლეობას. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მძვინვარებს ენერგოკრიზისი, რასაც განაპირობებს კრიპტოვალუტის მოპოვება (ე.წ. მაინინგი). მაინინგის ფართოდ გავრცელებას, თავის მხრივ, განაპირობებს ელექტროენერჯის სიიაფე. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მაინინგფერმების მფლობელებად სახელისუფლებო წრეებთან და ხელშეუხებელ კლანებთან დაახლოებული პირები სახელდებათ, რის გამოც ვერ ხერხდება ამ საქმიანობის შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, დღეს აფხაზეთის მოსახლეობას დენი მიეწოდება გრაფიკით. არსებობს რისკი, რომ ღრმა ენერგოკრიზისისგან ერთადერთი გამოსავალი „ჩერნომორენერგოს“ და აფხაზეთში არსებული სხვა ენერგობიექტების რუსულ კომპანიებზე გასხვისება იქნება. გარდა იმისა, რომ ამ ყველაფრით აფხაზური ელიტები დაკარგავენ კონტროლს ენერგობიექტებზე, პრივატიზაციის შემთხვევაში, სულ მცირე, ექვსჯერ გაიზრდება ელექტროენერჯის ფასი, რაც დამატებით ტვირთად დააწვება მოსახლეობას.

მესამე საკითხი არის ის პუნქტი, რომელიც ნებას დართავს რუსეთის მოქალაქეებს მიიღონ დე ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეობა. გარდა იმისა, რომ ისინი ამით უძრავი ქონების შექმნას შეძლებენ, მათ ხმის მიცემის უფლებაც მიეცემათ, რითაც საარჩევნო პროცესზე ზემოქმედება შეეძლებათ. ყოველივე ამას შესაძლოა დაემატოს

---

<sup>9</sup> Yamskov A. N. "osobnosti izmeneniya etno-demograficheskoy situatsii v abkhazii v postsovetskiy period" [პოსტსაბჭოთა აფხაზეთში ეთნოდემოგრაფიული ვითარების ცვლილების

თავისებურებანი]. Kavkaz i Globalizatsiya, 3 (2-3). 2009, გვ. 190-201

<sup>10</sup> არაფორმალური შეთანხმების მიხედვით, აფხაზეთში მიდის ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის დაახლოებით 40%, ხოლო თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კი - დანარჩენი 60%.

აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეებისა და რუსული ბიზნესინტერესების კიდევ უფრო აქტიური დაცვა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს სხვადასხვა სახის კორუფციული და თაღლითური სქემა, რომლებსაც ადგილობრივ ელიტებთან დაკავშირებული კლანები და ჯგუფები მფარველობდნენ.

დაბოლოს, შეთანხმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია არასამთავრობო ორგანიზაციების საკითხი. შეთანხმების 37-ე პუნქტის მიხედვით, გათვალისწინებულია ისეთი „მემორანდუმისა და გეგმა-გრაფიკის შედგენა, რომელიც, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციებისა და უცხოელი აგენტების რეგულირების მიზნით, აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანს“.<sup>11</sup> შეთანხმების ეს პუნქტი პირდაპირ იღებს მიზანში იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დასავლური დონორებისაგან ფინანსდებიან. რუსეთში ამ კანონის შემოღებამ საგრძნობლად შეაფერხა არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირება და დონორებთან მუშაობა.<sup>12</sup> რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, პირველ რიგში, აფხაზეთში არსებულ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუქმნის საფრთხეს, რომლებსაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დასავლელ დონორებთან მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. შესაძლოა აგრეთვე შეიზღუდოს აფხაზეთის სამოქალაქო სექტორისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ გაეროს წარმომადგენლობას შორის საქმიანი კავშირები. „უცხოელ აგენტთა“ კატეგორიაში შესაძლოა მოექცნენ თურქეთიდან რეპატრირებული აფხაზეთის ის ნაწილი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ თურქეთის პოლიტიკურ, ბიზნეს და რელიგიურ წრეებთან და აფხაზეთის ტერიტორიაზე სამეწარმეო თუ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან. დაბოლოს, შეთანხმების ამ პუნქტმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქართულ-აფხაზეთურ სახალხო დიპლომატიას და მკაცრად შეზღუდოს აფხაზი სამოქალაქო აქტივისტების კონტაქტები ქართველ კოლეგებთან.

დოკუმენტის რამდენიმე პუნქტი მოიცავს საბაჟო სფეროსაც. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ტერიტორიაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან ხვდება დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტები და ტანსაცმელი, ხოლო გალის მუნიციპალიტეტიდან კი შედის თხილი<sup>13</sup> და კონტრაბანდული სიგარეტი.<sup>14</sup> აფხაზეთურ

---

<sup>11</sup> ხაშიგი ი. (2020)

<sup>12</sup> BBC (2020). “v gosdume predloženo srochno razshirit krug inoagentov. za schet kogo?

[სახელმწიფო დუმაში უცხოეთის აგენტების წრის გაფართოებასთან დაკავშირებით წინადადება წამოაყენეს. ვის ხარჯზე?]. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/russian/news-54965166>

<sup>13</sup> გალის მუნიციპალიტეტიდან შემოტანილი თხილი შემდგომ ექსპორტზე გალის საქართველოს მიერ კონტროლირებადი პორტებიდან.

<sup>14</sup> Democracy & Freedom Watch (2018). „გალის მოსახლეობა იძულებულია სიგარეტის კონტრაბანდას დაუბრუნდეს“. ხელმისაწვდომია:

<https://dfwatch.net/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%>

პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია განიხილავენ ამ სავაჭრო-ეკონომიკური პრაქტიკის კონტროლქვეშ აყვანას. ჯერ კიდევ აფხაზეთის წინა დე ფაქტო ლიდერი რაულ ხაჯიმბა გამოდიოდა ენგურის ხიდზე საბაჟო-გამშვები პუნქტის გამართვისა და არსებული იატაკქვეშა ვაჭრობის ლეგალიზების ინიციატივით.<sup>15</sup> ახალი შეთანხმების მიხედვით, ეს პროცესი შესაძლოა დაჩქარდეს და მდინარე ენგურის ორივე მხარეს მყოფ მოვაჭრეებს ევრაზიული საბაჟო კავშირის შესაბამისი განბაჟების გადასახადის გადახდა მოუწიოთ. ყოველივე ამან, შესაძლოა გარკვეულწილად შეაფერხოს გალისა და სამეგრელოს რეგიონების მკვიდრებს შორის არსებული არაფორმალური ვაჭრობის პრაქტიკა.

ცალკე განიხილება გალის რაიონში<sup>16</sup> მცხოვრები ქართველების საკითხიც. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წნეხის გამო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს მოქალაქეობის მქონე გალის მკვიდრებისთვის აფხაზეთი პასპორტები გაეუქმებინა, რამაც რეგიონში მცხოვრები ქართველები კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. დღესდღეობით გალის მკვიდრთა უმრავლესობა დროებითი ბინადრობის საბუთს, ე.წ. „ფორმა 9-ს“ იყენებს, რომლის გაუქმებაც, როგორც წესი, დე ფაქტო ადმინისტრაციის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება რუსეთისა და აფხაზეთის საიმიგრაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ეს კიდევ უფრო გაართულებს ენგურის ხიდზე მოქალაქეთა მიმოსვლას და გალის მოსახლეობას მუდმივად დააყენებს დეპორტაციის რისკის წინაშე. საკანონმდებლო ბერკეტებთან ერთად, შესაძლოა სხვადასხვა არაფორმალური გზებითა და შეზღუდვებით წახალისდეს გალელ ქართველთა ნებაყოფლობითი მიგრაცია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მართალია, სამხედრო სფერო ირიბად არის მოხსენიებული რამდენიმე პუნქტში, თუმცა მოსალოდნელია აფხაზეთში რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის გაფართოება, განსაკუთრებით კი, მის აღმოსავლეთ ნაწილში. ყარაბაღის ომის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლოა, რუსეთმა გარკვეული სახის დამატებითი ტექნიკა და ტაქტიკური ინოვაცია გამოიყენოს.

დაბოლოს, ბჟანასა და ანქვაბის მიერ აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერა და მისი გარკვეული პუნქტების სისრულეში მოყვანა, პირველ რიგში, იქნება აფხაზეთის მმართველი პოლიტიკური გუნდის პასუხისმგებლობა. ასლან ბჟანასა და ალექსანდრ ანქვაბის მმართველი გუნდის პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა

[83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3-52392](http://abkhazinform.com/item/7746-prezident-raul-khadzhimba-vystupaet-za-legalizatsiyu-torgovli-na-granitse-s-gruziej)

<sup>15</sup> Abkhazia-Inform (2018). “prezident khajimba vistupaet za legalizatsiyu trgovli na granitse s gruziey.”

[პრეზიდენტი ხაჯიმბა საქართველოს საზღვართან ვაჭრობის ლეგალიზებას ემხრობა]

ხელმისაწვდომია: <http://abkhazinform.com/item/7746-prezident-raul-khadzhimba-vystupaet-za-legalizatsiyu-torgovli-na-granitse-s-gruziej>

<sup>16</sup> აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები შეცვალა და მისი გარკვეული სოფლები ოჩამჩირის და ახლად შექმნილი ტყვარჩელის რაიონს მიაკუთვნა.

არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ენერგოდეფიციტმა და პანდემიამ. ნაციონალისტურ და ომის ვეტერანთა წრეებში ასევე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივნის სერგეი შამბასა და ასლან ბჟანიას განცხადებებმა თბილისთან უპირობო დიალოგის დაწყების სურვილთან დაკავშირებით და აფხაზეთში ქართული პოლიტიკური პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტმა და ილორის მონასტრისთვის ხატის შეწირვამ.<sup>17</sup> დოკუმენტის ზოგიერთი საკამათო პუნქტის აღსრულება კი შესაძლოა მმართველი გუნდის მიმართ „აფხაზეთის სუვერენიტეტის დასუსტების“ ბრალდება გააჩინოს. ამ ყველაფრის ფონზე, აფხაზეთში შემდგომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს ბჟანიანქვაბის პოლიტიკური გუნდი კიდევ უფრო ნაკლები პოლიტიკური კაპიტალით შეხვდება. იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ყველაზე ძლიერი პოზიციები თბილისისადმი ხისტად განწყობილ რაულ ხაჯიმბას გუნდს აქვს, ამან შესაძლოა კიდევ უფრო შეამციროს თბილისთან კონსტრუქციული დიალოგის ალბათობა.

ერთი სიტყვით, ახალ შეთანხმებაზე ხელმოწერა წარმოადგენს რუსეთის გეგმაზომიერ და ხანგრძლივ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელიც აფხაზეთის რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში შთანთქმას ისახავს მიზნად. ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად, რუსეთმა განავრცო თავისი გავლენის სფეროები კავკასიის რეგიონში და სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებით მსოფლიო რუკაზე კიდევ ერთი ქვეყანა გაჩნდა, სადაც რუსული საჯარისო ნაწილები დგანან. ამ გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია რუსეთის გაძლიერება აფხაზეთში და ბოლო დოკუმენტიც ამ ხანგრძლივი პროცესის ერთ-ერთი ნაწილია.

---

<sup>17</sup> „რადიო თავისუფლება“ (2020). „პატრიოტთა ალიანსის“ ნაჩუქარ ხატს აფხაზები უკან აბრუნებენ - ხატი უკვე საოკუპაციო ხაზზეა“. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C---%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%96%E1%83%94%E1%83%90/30822610.html>